ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 531

19 ნოემბერი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 27 ოქტომბრის №21.1477.1665 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, დანართი №1-ით მოცემულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემისა და მათთან ამ განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ახვლედიანი

დანართი №1

ქ. თბილისი, ქუჩა ანა პოლიტკოვსკაიას, №48

№	სახელი გვარი	პირადი ნომერი	ფართი	სართული	საკადასტრო კოდი
1	ნიკოლოზი მირიანაშვილი	01011084671	47.82	სადარბაზო 1, სართული 5, ბინა №522	01.14.05.003.007.01.522
2	გოჩა ჯოჯუა	01022002817	37.79	სადარბაზო 1, სართული 5, ბინა №517	01.14.05.003.007.01.517